ხელშეკრულება №145
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

29 ივნისი 2015 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „ნუგზარ ჯინჭარაძე“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ნუგზარ ჯინჭარაძის სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №67 დადგენილების და 2015 წლის 03 აპრილის №151 დადგენილების თანახმად, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ივნისის №82 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ შესაბამისად, სოფ ხუცუბანში საყანე ფართობის შესაღობად ეკლიანი მავთულის 1.7მX1.5მ (250 მეტრი 12.8+-) (CPV44312300 - ეკლიანი მავთული) (შემდგომში „საქონელი“) მოწოდება, თანახმად ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №2-სა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2`450.00 (ორიათას ოთხასორმოცდაათი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტებზე.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მოწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 მიღება ჩაბარებას ახორციელებს ზვიად თამაზაშვილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ხუცუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელიც აფორმებს შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.
5.3 მოწოდებული საქონლის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონლის მიწოდების პირობები და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
6.2. მიწოდების ადგილად განისაზღვრება: სოფელი ხუცუბანი;
6.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზემოთაღნიშნულ მისამართზე მავთულის დაცლა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს სოფ ხუცუბანში საყანე ფართობის შესაღობად ეკლიანი მავთულის 1.7მX1.5მ (250 მეტრი 12.8+-) მიწოდება.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ზვიად თამაზაშვილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ხუცუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში.
8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
14.2 „შემსყიდველი"–ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
14.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი: ქობულეთი, რუსთაველის ქ., №2.
15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი **MIBGGE22,** ა/ა **GE21PC0073600100011678,** საიდენტიფიკაციო კოდი **61004004824;**
15.3 „მიმწოდებელი" – ინდივიდუალური მეწარმე „ნუგზარ ჯინჭარაძე"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

გამგებელი

სულხან ევგენიძე

„მიმწოდებელი" – ინდ. მეწარმე „ნუგზარ ჯინჭარაძე"

ნუგზარ ჯინჭარაძე

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	საერთო ღირებულება ლარი
1	1.7მX1.5მ (250 მეტრი 12.8+-)	ცალი	49	50	2450

ინდ. მეწარმე „ნუგზარ ჯინჭარაძე“ ნუგზარ ჯინჭარაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქობულეთი 29 .06. 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 ივნისის №82 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ შესაბამისად, სოფ. ხუცუბანში საყანე ფართობის შესაღობად ეკლიანი მავთულის 1.7მX1.5მ (250 მეტრი 12.8+-) მოწოდების შესყიდვის განხორციელებაში (CPV44312300 -ეკლიანი მავთული) ი.მ. „ნუგზარ ჯინჭარაძე“-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გამგებელი სულხან ევგენიძე